საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 905 2019 წლის 23 აპრილი ქ. თბილისი

ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის შესახებ დასადები ხელშეკრულების თაობაზე

1. ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის პროექტი, რომლის განხორციელების მიზნით გამოცხადებულ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულია შპს „ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯია“ (ს/ნ: 404507495), განისაზღვროს პროექტის მომზადების ეტაპზე.

2. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობას, სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდს“, სს „ნამახვანს“, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასა“ და შპს „ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯიას“ შორის ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების თაობაზე დასადები ხელშეკრულება.

3. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, ამ განკარგულებით გათვალისწინებული ხელშეკრულების

პროექტს, საქართველოს მთავრობის სახელით, ხელი მოაწეროს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**